

შპს „ბაკური“

მმართველობის ანგარიშგება

საქართველო, ქ. ბათუმი
2020 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დირექტორის მიმართვა.
2. საქმიანობის ანგარიში
3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.
4. კომპანიის განვითარების პერსპექტივები

1. დირექტორის მიმართვა

შპს DLT-A აუდიტის დირექტორს
ბატონ თამაზ აბუსერიძეს

შპს ბაკურის ს/კ 245392089
დირექტორის

მომართვა

შპს ბაკური წარმოგიდგენთ 2019 წლის ინდივიდუალურ-ფინანსურ ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც მოქმედი კანონის მიხედვით გაგვიჩნდა 2017 წლიდან. ამასთან გაცნობებთ, რომ შპს ბაკური რეგისტრირებულია 1996 წლის 24 იანვარს. რეგისტრაციის დღიდან დანიშნული ვარ დირექტორად მე თენგიზ ბაკურიძე.

შპს ბაკურის დამფუძნებლები არიან:

ფ/პ თენგიზ ბაკურიძე პ/ნ 61006000763 საქართველოს მოქალაქე 60,25%-ის წილით;

ფ/პ ნონა ბაკურიძე პ/ნ 61001016806 საქართველოს მოქალაქე 39,75%-ის წილით.

ჩვენი საწარმოს იურიდიული მისამართია ქ ბათუმი, ზ. გამსახურდია/ჭავჭავაძე N49/4, სადარბაზო 4, სართული 2, ბინა 51.

ჩვენი საწარმოს საქმიანობა მრავალდარგობრივია, მათ შორისაა მშენებლობა, სასტუმრო ქსელის, ბაზრის, სავაჭრო ცენტრების, მცირე ჰესის, სანახაობითი ღონისძიებების, სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება და მართვა და სხვა საქმიანობები.

ჩვენს საწარმოში საქმიანი პროცესების სწორად წარმართვის მიზნით ჩამოყალიბებული გვაქვს მწყობრი სტრუქტურული სისტემა. აპარატი დაკომპლექტებული გვყავს გამოცდილი იურიდიული, ფინანსური, საინჟინრო და სხვა სპეციალობის მქონე პირებით.

შპს ბაკურს გააჩნია შემდეგი ობიექტები:

- სავაჭრო ცენტრი ბონი (ბათუმის ბაზარი);
- ქ ბათუმში განთავსებული ოთხი მცირე ზომის სასტუმრო;
- მაჭახელაჰესი, რომელიც მდებარეობს ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის მაჭახლის ხეობაში;
- ბაკურის ბალანსზე ირიცხება ბათუმის ცირკის შენობა, ორთაბათუმის კულტურის სახლის შენობა, სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი ორთაბათუმში და სხვა ობიექტები.
- ქ ბათუმში და დაბა ხულოს ცენტრში ვაწარმოებთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

ჩვენი საწარმოს უმთავრესი ამოცანაა ყოველწლიურად გავზარდოთ ეკონომიკური მაჩვენებლები, ამ მიზნით ვახდენთ ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და რეალიზებას. დაგეგმილი გვაქვს მაჭახელაჰესის წყალმომარაგების სამუშაოების ჩატარება. ამასთან მაქსიმალურად ვცდილობთ შევინარჩუნოთ თანამშრომელთა რაოდენობა.

2020 წლის პირველ ნახევარში შექმნილი რთული პანდემიის პირობებში გარკვეულ წილად შემცირდა რეალიზაციის მოცულობა, მიუხედავად ამისა თანამშრომელთა რაოდენობა არ შეგვიმცირებია.

შპს ბაკურის მენეჯერთა გუნდი წარმატებით გავართმევთ თავს საზოგადოების თანმიმდევრული და დაბალანსებული განვითარების ამოცანებს.

ჩვენი საწარმოს ფინანსური მაჩვენებლები ასახულია წარმოდგენილ ანგარიშში.

შპს ბაკურის

დირექტორი



თ. ბაკურიძე

თ. ბაკურიძე

2. საქმიანობის ანგარიში

შპს „ბაკური“ დაფუძნებულია 1996 წლის 24 იანვარს. იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.ბათუმი გამსახურდიას -ჭავჭავაძე ქუჩა # 49/4 სადარბაზო 4 სართული ბინა 51.

კომპანიის დამფუძნებლებია არიან თენგიზ ბაკურიძე (პ/ნ 61006000763) და ნონა ბაკურიძე (პ/ნ 61001016808) წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

თენგიზ ბაკურიძე - 60,25%

ნონა ბაკურიძე - 39,75%


საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებენ დირექტორები.

შპს „ბაკური“-ს დირექტორად არჩეულნი არიან თენგიზ ბაკურიძე (პ/ნ 61006000763) საქართველოს მოქალაქე და ზურაბ ჭინჭარაძე (პ/ნ 61007000270) საქართველოს მოქალაქე.


შპს „ბაკური“-ს საქმიანობა მრავალდარგობრივია და მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1. მშენებლობა
2. სასტუმრო მომსახურება და სასტუმრო კომპლექსის იჯარით გაცემა
3. კომერციული ფართების იჯარით გაცემა სპეციალურად მოწყობილ სავაჭრო ტერიტორიაზე (ბაზარი)
4. მცირე ჰესების მართვა


❖ საოპერაციო შემოსავლები 2018-2019 წლებში:




❖ დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2018-2019 წლებში



❖ მაჭახელა ჰესის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა 2018-2019 წლებში (კვტ.სთ.)




❖ მაჭახელა ჰესის წილი კომპანიის მთლიან შემოსავლებში 2018-2019 წწ.



■ სხვა საოპერაციო შემოსავალი 2018 წ.

■ შემოსავალი მაჭახელა ჰესიდან 2018 წ.



■ სხვა საოპერაციო შემოსავალი 2019 წ.

■ შემოსავალი მაჭახელა ჰესიდან 2019 წ.

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

2019 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები:

- მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი =
$$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} =$$

$$\frac{7,749,100}{3,296,728} = 2,35$$

- აქტივების ბრუნვა =
$$\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{8,701,753}{60,296,829} =$$

$$=0,14$$

- ძ. ს. გამოყენების ინტენსივობა =
$$\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{ძ.საშუალების ღირებულება}} = \frac{8,701,753}{41,838,005} =$$

$$=0,21$$

4. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

შპს „ბაკური“-ს მომავალი პერსპექტივა:

- სამშენებლო საქმიანობის გაფართოება;
- სასტუმროებში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა;
- ელექტროენერგიის გამომუშაოების გაზრდა;
- დასაქმებული პერსონალის შენარჩუნება და შესაძლებლობის ფარგლებში სახელფასო ფონდის ზრდა;

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის
ნებართვა გასცა, 2020 წლის 20 ივლისს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

30.09.2020

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის
ნებართვა გასცა, 2020 წლის 20 ივლისს.

დირექტორი

თ. ჯეჯელიძე

თენგიზ ბაკურიძე

30.09.2020

მთავარი ბუღალტერი

თ. გომიზაძე

თენგიზ ფალავანდიშვილი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბაკური“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგება და დამტკიცებაზე
2. დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
4. სრული შემოსავლების ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და შენიშვნები
8. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება
9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ბაკური-ს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს ფულადი სახსრების ანგარიშგებასა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

1. მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე, გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებაზე.
2. განცხადებაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით.
3. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ა) კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე.
- ბ) ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმენას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს.
- გ) სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- დ) კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე.
- ე) თაღლითობისა და სხვა დარღვევების არმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაქვეყნად 2020 წლის 20 ივლისს.

შპს ბაკური-ს
დირექტორი


თ. ბაკურიძე

მთ ბუღალტერი


თ. გალავანდიშვილი

2. დასკვნა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ბაკურის ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ცალკეული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ბაკური-ს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ბაკური-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას რომელიც შეტანილია წლიურ ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ. აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ ადგილი ექნება მატერიალურ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა: ·

✓ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია ფინანსურ ანგარიშგებასთან

✓ მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად ჩვენ მივმართავთ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი

იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი
თამაზ აბუსერიძე

.....

შპს „DLT-A აუდიტი“-ს სახელით

2020 წლის 30 სექტემბერი

იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი
თამაზ აბუსერიძე

მ. აბუსერიძე

შპს „DLT-A აუდიტი“-ს სახელით

2020 წლის 30 სექტემბერი



3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „ბაკური“
ლარი

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული და ფულის ექვივალენტები	476,042	113,687	154,979
მოთხოვნა საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	556,977	708,657	624,838
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	30,157	36,584	23,131
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	842,641	861,132	350,865
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,206,348	1,654,874	993,441
სასაქონლო მარაგები	4,373,547	6,667,263	4,526,597
მოთხოვნა გაცემული სესხებიდან	78,927	354,045	1,179,583
სხვა მისაღები თანხები	142,182	150,169	278,416
სულ მიმდინარე აქტივები	7,706,821	10,546,411	8,131,850
ძირითადი საშუალებები:			
სატრანსპორტო საშუალებები	80,510	91,592	94,718
ავეჯი და ოფისის მოწყობილობები	243,091	210,295	303,098
მოწყობილობა და დანადგარები	2,056,667	2,606,426	2,578,029
უძრავი ქონება	8,680,680	8,685,504	6,538,482
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	-	1,607,311
მიწა	30,777,057	30,885,605	30,634,245
სულ ძირითადი საშუალებები	41,838,005	42,479,422	41,755,883

არამატერიალური აქტივები და
ინვესტიციები:

გრძელვადიანი ინვესტიციები	10,747,121	9,914,003	9,621,825
არამატერიალური აქტივები	4,882	5,769	4,544
სულ არამატერიალური აქტივები და ინვესტიციები:	10,752,003	9,919,772	9,626,369

სულ აქტივები	60,296,829	62,945,605	59,514,102
---------------------	-------------------	-------------------	-------------------

მიმდინარე ვალდებულებები:
ვალდებულება საქონლის მიწოდებიდან
და მომსახურებიდან

	833,371	761,146	974,698
გადასახდელი ხელფასები	7,480	7,862	13,177
ავანსად მიღებული თანხები	2,448,270	5,815,026	2,111,406
მოკლევადიანი სესხები	7,607	9,055	39,247
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,296,728	6,593,089	3,138,528

გრძელვადიანი ვალდებულებები:

გრძელვადიანი სესხები	13,425,870	12,965,370	10,819,234
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	367,380	361,630	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	13,793,250	13,327,000	10,819,234

სულ ვალდებულებები	17,089,978	19,920,089	13,957,762
--------------------------	-------------------	-------------------	-------------------

კაპიტალი:

საკუთარი კაპიტალი	5,619,340	7,922,505	11,224,821
გაუნაწილებელი მოგება მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	2,611,084	2,486,317	8,644,205

	2,484,500	124,767	(6,157,888)
რეზერვები და დაფინანსება	32,491,927	32,491,927	31,845,202
მთლიანი კაპიტალი	43,206,851	43,025,516	45,556,340
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	60,296,829	62,945,605	59,514,102

დირექტორი

თენგიზ ბაკურიძე

30.07.2020 წ.

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ფალავანდიშვილი

რეზერვები და დაფინანსება	32,491,927	32,491,927	31,845,202
მთლიანი კაპიტალი	43,206,851	43,025,516	45,556,340
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	60,296,829	62,945,605	59,514,102

დირექტორი

ა. ჯიქია

თენგიზ ბაკურიძე

30.07.2020 წ.

მთავარი ბუღალტერი

ნ. გოთა

თენგიზ ფალავანდიშვილი



4. სრული შემოსავლების ანგარიშგება

შპს „ბაკური“

ლარი

<i>შემოსავლები:</i>	2019 წელი	2018 წელი
მთლიანი საოპერაციო შემოსავალი:	8,701,753	3,566,411
შემოსავალი რეალიზაციიდან	181,958	125,785
შემოსავალი იჯარიდან	701,243	817,736
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	952,653	666,696
შემოსავალი ფართების რეალიზაციიდან	4,746,115	38,797
შემოსავალი სასტუმროდან	347,321	73,560
შემოსავალი ბაზრიდან	1,735,734	1,810,756
სხვა საოპერაციო შემოსავალი	36,728	33,082
წმინდა ამონაგები	8,701,753	3,566,411
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	3,490,999	188,973
საერთო მოგება	5,210,754	3,377,438
<i>საოპერაციო ხარჯები</i>		
სახელფასო ხარჯები	962,683	1,041,442
ტრანსპორტირების ხარჯები	51,020	59,361
იჯარა	78,559	47,458
რეკლამა	2,528	14
კომუნალური ხარჯები	463,672	483,348
კომუნიკაციის ხარჯი	6,428	11,940
ბუღალტერია/აუდიტი/კონსულტაცია/ნოტარიუსი	10,322	17,118
საოფისე ხარჯები	19,644	27,563
ცვეთა და ამორტიზაცია	1,039,073	975,961

საბანკო მომსახურების ხარჯები	7,869	11,622
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	655
საგადასახადო ხარჯი	153,936	133,659
რემონტი	211,852	589,141
მივლინება	-	425
სხვა ხარჯი	22,123	81,656
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	3,029,709	3,481,363
საოპერაციო მოგება/ზარალი	2,181,045	(103,925)
საპროცენტო შემოსავალი	18,991	146,158
საპროცენტო ხარჯი	861,521	776,272
მიღებული დივიდენდი	1,884,500	770,700
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	165,434	250,143
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	903,948	162,038
წმინდა მოგება (ზარალი)	2,484,500	124,767

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

30.07.2020 წ.

საოფისე ხარჯები	19,644	27,563
ცვეთა და ამორტიზაცია	1,039,073	975,961
საბანკო მომსახურების ხარჯები	7,869	11,622
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	655
საგადასახადო ხარჯი	153,936	133,659
რემონტი	211,852	589,141
მივლინება	-	425
სხვა ხარჯი	22,123	81,656
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	3,029,709	3,481,363
საოპერაციო მოგება/ზარალი	2,181,045	(103,925)
საპროცენტო შემოსავალი	18,991	146,158
საპროცენტო ხარჯი	861,521	776,272
მიღებული დივიდენდი	1,884,500	770,700
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	165,434	250,143
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	903,948	162,038
წმინდა მოგება (ზარალი)	2,484,500	124,767

დირექტორი

თ. ჭყეტი

თენგიზ ბაკურიძე

30.07.2020 წ.



მთავარი ბუღალტერი

ა. გომი

თენგიზ ფალავანდიშვილი

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს „ბაკური“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი				
01.01.2018 ნაშთი	11,224,821	31,845,202	2,486,317	45,556,340
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(3,302,316)	-	-	(3,302,316)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	646,725	-	646,725
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2018	-	-	124,767	124,767
31.12.2018 ნაშთი	7,922,505	32,491,927	2,611,084	43,025,516
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(2,303,165)	-	-	(2,303,165)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2019	-	-	2,484,500	2,484,500
31.12.2019 ნაშთი	5,619,340	32,491,927	5,095,584	43,206,851

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე
30.07.2020 წ.

თენგიზ ფალავანდიშვილი

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

შპს „ბაკური“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

01.01.2018 წაშთი	11,224,821	31,845,202	2,486,317	45,556,340
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(3,302,316)	-	-	(3,302,316)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	646,725	-	646,725
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2018	-	-	124,767	124,767
31.12.2018 წაშთი	7,922,505	32,491,927	2,611,084	43,025,516
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(2,303,165)	-	-	(2,303,165)
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი 31.12.2019	-	-	2,484,500	2,484,500
31.12.2019 წაშთი	5,619,340	32,491,927	5,095,584	43,206,851

დირექტორი

თ. ზეგელიძე
თენგიზ ბაკურიძე
30.07.2020 წ.



მთავარი ბუღალტერი

თ. გოთაძე
თენგიზ ფალავანდიშვილი

6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს „ბაკური“

ლარი

	2019 წელი	2018 წელი
შემოსავლები:		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	4,674,490	4,043,676
ავანსად მიღებული თანხები	2,212,365	3,664,360
სულ შემოსული თანხები	6,886,855	7,708,036
საოპერაციო ხარჯები:		
მომხმარებლებზე გადახდილი თანხები	(2,218,033)	(4,333,151)
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(961,931)	(1,428,663)
გადახდილი გადასახადები	(995,970)	(1,084,259)
სულ გაცემული თანხები	(4,175,934)	(6,846,073)
ფულადი შემოსავალი ოპერაციებიდან	2,710,921	861,963
ფულადი მოძრაობა ინვესტიციებიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(363,335)	(185,191)
მიღებული დივიდენდები	1,884,500	770,700
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	(596,434)	-
სულ ფულადი შემოსავალი ინვესტიციებიდან:	924,731	585,509
ფულადი მოძრაობა ფინანსური ოპერაციებიდან		
გაცემული სესხი	49,942	(10,217)
სესხის მიღება	13,715,165	3,185,762
სესხის ძირის დაფარვა	(13,887,538)	(1,026,220)
სესხის პროცენტის მიღება	30,149	82,748

სესხის პროცენტის დაფარვა	(860,698)	(783,534)
გრანტის სახით მიღებული შემოსავალი	5,750	361,630
საკუთარი კაპიტალის ცვლილება	(2,303,165)	(3,276,142)
სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან	(3,250,395)	(1,465,973)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	385,257	(18,502)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	113,687	154,979
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	3,807	23,202
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(26,708)	(45,993)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	476,043	113,686

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

30.07.2020 წ.

სესხის პროცენტის დაფარვა	(860,698)	(783,534)
გრანტის სახით მიღებული შემოსავალი	5,750	361,630
საკუთარი კაპიტალის ცვლილება	(2,303,165)	(3,276,142)
<u>სულ ფულადი შემოსავალი ფინანსური ოპერაციებიდან</u>	<u>(3,250,395)</u>	<u>(1,465,973)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	385,257	(18,502)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	113,687	154,979
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	3,807	23,202
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(26,708)	(45,993)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	476,043	113,686

დირექტორი

თ. ჰეგელი

თენგიზ ბაკურიძე

30.07.2020 წ.



მთავარი ბუღალტერი

თ. გომი

თენგიზ ფალავანდიშვილი

7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერი

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შ.პ.ს. „ბაკური“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ფულად ერთეულში - ქართული ლარი და მასში მოქცეულია ყველა ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. ამონაგების აღიარება

კომპანია შემოსავლებს აღირებს დარიცხვის მეთოდით ყოველდღიურად გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

3. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

4. მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. აღნიშნული თარიღიდან მოგების გადასახადადით დაბეგვრის ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. კომპანიას 2018-2019 საანგარიშო პერიოდებში დივიდენდის გაცემა არ უფიქსირდება.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებულია გამოყენების ფორმის შესაბამისად. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

შენობები	50 წელი
მანქანა დანადგარები	15-20 წელი
ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	10-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	15-20 წელი

ცვეთის თანხის აკუმულირება ხდება ცალკე საბალანსო ანგარიშებზე და არ ხდება აქტივების ღირებულების პირდაპირი შემცირება.

თუ არსებობს რამე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება შესაბამისად.

6. არამატერიალური აქტივები

ცალკე ანგარიშზე აისახება არამატერიალური აქტივები, რომელიც შედგება ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამებისგან რომელთა სასიცოცხლო პერიოდი შეადგენს 1-15 წელი.

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომლებიც კომპანიის მიერ გამოიყენება საქმიანობის პროცესში, საბალანსო ანგარიშებზე მათი ასახვა ხდება გამოყენების ფორმის მიხედვით (სარეალიზაციო საქონელი და საწვავ საცხები მასალები).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის მიერ სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა ხდება მათი რეალიზაციის/გახარჯვისთანავე. სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელთა ფასი მცირეა და მათი გამოყენება ხდება დროის უმცირეს მონაკვეთში (სამეურნეო და საკანცელარიო საქონელი) პირდაპირ აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშებში, ხარჯებში.

8. სავაჭრო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საქონელზე ან მომსახურებებზე სავაჭრო ურთიერთობების განხორციელებისას კონტრაგენტი საბალანსო ანგარიშებში ფორმირდება გადახდილი ან გადასახდელი ღირებულების ფორმის შესაბამისად დებიტორად ან კრედიტორად, თუმცა განგრძობადი ურთიერთობის შემდგომ არ ხდება მისი საბალანსო მდგომარეობის შეცვლა და შესაბამისად აღნიშნულ ანგარიშებზე შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი ნაშთი. დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

გარკვეული პერიოდულობით გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

9. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

10. ხარჯად აღიარება

მოგება ზარალის ანგარიშებში ხარჯების აღიარება ხდება მიღებულ საქონელზე ან მომსახურებაზე ყველა უფლების სრულად მიღების მომენტში გაცემული ან გასაცემი კომპენსაციის ოდენობით.

11. ფულადი სახსრები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებისგან. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

12. შემოსავლები 2019 წელი.

ლარი

2019 წელი

საოპერაციო შემოსავლები

შემოსავალი რეალიზაციიდან	181958
შემოსავალი იჯარიდან	701243
შემოსავალი ფართების რეალიზაციიდან	4746115
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	952653
შემოსავალი სასტუმროდან	347321

შემოსავალი ბაზრიდან	1735734
სხვა საოპერაციო შემოსავალი	36728
სულ საოპერაციო შემოსავლები	8,701,752
არასაოპერაციო შემოსავლები	
დადებითი საკურსი სხვაობა	137,118
საპროცენტო შემოსავალი	18,991
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	28,315
მიღებული დივიდენდი	1,884,500
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	2,068,924
სულ შემოსავალი	10,770,676

13. ხარჯები 2019 წელი
ლარი

	2019 წელი
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	3,490,999
სხვა საოპერაციო ხარჯები	3,029,709
უარყოფითი საკურსო სხვაობა	781,200
საპროცენტო ხარჯი	861,521
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	122,748
სულ ხარჯები	8,286,177

14. მოგება/ზარალი 2019 წელი
ლარი

სულ შემოსავალი	10,770,676
სულ ხარჯი	8,286,177
მოგება	2,484,500

15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018

წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შემდეგია:

ლარი

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	26,322	11,877
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
თიბისი ბანკი GEL	395,511	
საქართველოს ბანკი GEL	14,740	2,944
ლიბერთი ბანკი GEL	-	3
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		
საქართველოს ბანკი	-	-
თიბისი ბანკი	39,469	
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	449,720	101,810
სულ ფულადი სახსრები	476,042	113,687

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
მოთხოვნა გაცემული სესხებიდან		
შპს ლეჩა		3,400
შპს გიზა	75,341	75,341
სხვა მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	3,586	275,304
სულ მოთხოვნა გაცემული სესხებიდან	78,927	354,045
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	30,157	36,584

სავაჭრო მოთხოვნები	556,977	708,657
წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,206,348	1,654,874
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	842,641	861,132
სხვა მოთხოვნები	142,182	150,169
სულ მოთხოვნები	2,857,232	3,765,461

17. სავაჭრო მოთხოვნები

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
შპს ლეჩა		
შპს ბეთლემი-2011		
ფ.პ მერაბ კონცელიძე		
ფ.პ რიმა დოლბაძე		
სხვა სავაჭრო მოთხოვნები		
სულ სავაჭრო მოთხოვნები	556,977	708,657

18. გადახდილი ავანსები

ლარი	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		
ფ.პ როზიტა უნანოვა	274,146	268,766
ООО ГИДРОЭНЕРГЕТИКА		
HYDROENERGETICA LLC		
სხვა წინასწარ გადახდილი ავანსები	548,146	573,001
სულ მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსები	842,641	861,132

19. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
ლარი

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
სასაქონლო მარაგები	167,725	214,549
ნედლეული	788,307	479,341
დაუმთავრებელი წარმოება	3,331,311	5,887,168
მზა პროდუქცია	86,205	86,205
სულ საქონელი	4,373,547	6,667,263

**20. არამატერიალური აქტივების (პროგრამული
უზრუნველყოფა)**

ლარი

საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვარი	4,544
გასული არამატერიალური აქტივები	-
შემოსული არამატერიალური აქტივები	2,076
მიმდინარე ცვეთა	852
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი	5,769
გასული არამატერიალური აქტივები	-
შემოსული არამატერიალური აქტივები	-
მიმდინარე ცვეთა	886
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერი	4,882

21. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31

დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:

ლარი

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები და ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	მიწა	სულ
2018 წლის 1 იანვარი	8,989,961	1,607,311	2,816,030	585,260	223,836	30,634,245	44,856,642
შემოსავალი	2,342,269	27,591	87,663	76,543	9,000	251,360	2,794,425
გასავალი	-	1,633,980	30,105	78,313	-	-	1,742,398
გადაფასების რეზერვი	46,725		600,000				646,725
2018 წლის 31 დეკემბერი	11,378,955	921	3,473,588	583,490	232,836	30,885,605	46,555,395
შემოსავალი	258,236	204,273	110,369	136,495	-	-	709,374
გასავალი	-	205,194	122	737	-	108,548	314,601
გადაფასების რეზერვი							-
2019 წლის 31 დეკემბერი	11,637,191	0	3,583,835	719,248	232,836	30,777,057	46,950,167
დაგროვილი ცვეთა							-
2017 წლის 1 იანვარი	2,387,890	-	72,046	216,251	116,645	-	2,792,831
წლის ცვეთა	184,748	-	165,964	65,912	12,473	-	429,096
გასული აქტივის ცვეთა	121,159		9	-	-	-	121,168
2017 წლის 31 დეკემბერი	2,451,478	-	238,001	282,162	129,118	-	3,100,760
წლის ცვეთა	241,972	-	633,842	100,181	14,122	-	990,117
გასული აქტივის ცვეთა	-	-	4,681	10,224	-	-	14,904
2018 წლის 31 დეკემბერი	2,693,451	-	867,162	372,119	143,241	-	4,075,972
წლის ცვეთა	263,060	-	660,006	104,038	9,085	-	1,036,190
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	2,956,511	-	1,527,168	476,157	152,326	-	1,036,190
საბალანსო ღირებულება							-
2017 წლის 31 დეკემბერი	6,538,482	1,607,311	2,578,029	303,098	94,718	30,634,245	41,755,883
2018 წლის 31 დეკემბერი	8,685,504	921	2,606,426	211,371	89,595	30,885,605	42,479,422
2019 წლის 31 დეკემბერი	8,680,680	0	2,056,667	243,090	80,510	30,777,057	41,838,005

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019 წელი 31 დეკემბერი	2018 წელი 31 დეკემბერი
ვალდებულებები მომსახურებიდან და მიწოდებიდან	833,371	761,146
შპს კავკას მეტალი	55,950	4,603
შპს ტანსაცმელინდკერვა	92,269	41,347
შპს ენდე	540	540
ფ პ თენგიზ ბაკურიძე	157,665	157,665
ფ პ ბეგლარ კახიძე	581	-
სხვა ვალდებულებები მომსახურებიდან	526,366	556,991
გადასახდელი ხელფასები	7,480	7,862
მოკლევადიანი სესხები	7,607	9,055
მიღებული ავასები	2,448,270	5,815,026
სულ ვალდებულებები	3,296,728	6,593,089

შენიშვნა: მიღებული ავანსების მუხლში აღნიშნული თანხების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ბინების რეალიზაციებთან დაკავშირებით, მყიდველი ფიზიკური პირების მიერ წინასწარ გადახდილ თანხებს.

23. გრძელვადიანი ვალდებულებები

ლარი

სესხები კომერციული ბანკიდან	13,425,870	12,965,370
მიღებული გრანტები	367,380	361,630
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	13,793,250	13,327,000

8. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის მიმდინარე წლის აუდიტისას მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ბალანსების გადახედვა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომების გასწორების ეფექტი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

01 იანვარი 2018 წელი			
კორექტირებული მუხლის დასახელება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
ფული და ფულის ექვივალენტები	154,926	53	154,979
მოთხოვნა საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	712,032	(87,194)	624,838
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ მომწოდებლებზე	12,323	10,808	23,131
გადახდილი ავანსები წინასწარ გადახდილი გადასახადები	394,715	(43,850)	350,865
	1,550,477	(557,036)	993,441
სასაქონლო მარაგები	4,420,673	105,924	4,526,597
სხვა მისაღები თანხები	271,409	7,007	278,416
სატრანსპორტო საუალებები	82,518	12,200	94,718
გრძელვადიანი ინვესტიციები ვალდებულება საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,827,270	1,794,555	9,621,825
	992,901	18,203	974,698
გადასახდელი გადასახადები გადასახდელი ხელფასები	549,725	549,725	-
	-	(13,177)	13,177
ავანსად მიღებული თანხები	2,097,687	(13,718)	2,111,405
საკუთარი კაპიტალი	11,250,821	26,000	11,224,821
გაუნაწილებელი მოგება მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	6,886,135	(1,758,070)	8,644,205
	(6,209,316)	(51,430)	(6,157,886)

31 დეკემბერი 2018 წელი

კორექტირებული მუხლის დასახელება	წინა ანგარიშების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
ფული და ფულის ექვივალენტები	114,246	(559)	113,687
მოთხოვნა საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	884,389	(175,732)	708,657
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ მომწოდებლებზე	45,053	(8,469)	36,584
გადახდილი ავანსები წინასწარ გადახდილი	923,277	(62,145)	861,132
გადასახადები	2,240,058	(585,184)	1,654,874
სასაქონლო მარაგები მოთხოვნა გაცემული სესხებიდან	6,608,371	58,892	6,667,263
სხვა მისაღები თანხები	274,746	79,299	354,045
სატრანსპორტო საუალებები ავეჯი და ოფისის მოწყობილობები	139,699	10,470	150,169
	79,392	12,200	91,592
დაუმთავრებელი მშენებლობა	211,371	(1,076)	210,295
	921	(921)	-
გრძელვადიანი ინვესტიციები ვალდებულება საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8,197,047	1,716,956	9,914,003
	967,514	206,368	761,146
გადასახდელი გადასახადები	571,071	571,071	-
გადასახდელი ხელფასები	(1)	(7,863)	7,862
ავანსად მიღებული თანხები	5,762,247	(52,776)	5,815,023
გრძელვადიანი სესხები სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	13,327,000	361,630	12,965,370
	-	(361,630)	361,630
საკუთარი კაპიტალი	7,960,789	38,284	7,922,505
გაუნაწილებელი მოგება მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	676,819	(1,809,499)	2,486,318
	135,451	10,684	124,767

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

მიმდინარე წლის დასაწყისიდან გავარცელებული ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გარკვეული ვადით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. სიტუაციიდან გამომდინარე კომპანია აღმოჩნდა გარკვეული გამოწვევების წინაშე, 2020 წლის პირველ ნახევარში შემცირდა რეალიზაციები, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელების განმარტებით, კომპანია მზად არის განაგრძოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და ცდილობენ არ შეამცირონ თანამშრომელთა რაოდენობა

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 ივლისს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თენგიზ ბაკურიძე

თენგიზ ფალავანდიშვილი

30.09.2019 წ.

მიმდინარე პერიოდის მოგება
ზარალი

135,451

10,684

124,767

9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:


მიმდინარე წლის დასაწყისიდან გავარცელებული ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გარკვეული ვადით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. სიტუაციიდან გამომდინარე კომპანია აღმოჩნდა გარკვეული გამოწვევების წინაშე, 2020 წლის პირველ ნახევარში შემცირდა რეალიზაციები, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელების განმარტებით, კომპანია მზად არის განაგრძოს მუშაობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და ცდილობენ არ შეამცირონ თანამშრომელთა რაოდენობა

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა არაფერი მომხდარა ისეთი, რაც უნდა იყოს ნახსენები, მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 30 ივლისს.

დირექტორი




თენგიზ ბაკურიძე

30.09.2019 წ.



მთავარი ბუღალტერი



თენგიზ ფალავანდიშვილი